უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 0000846941

16/09/2020

შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხ ლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტს (ს/კ: 205050567) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	**განხორციელების ადგილი**	**საფეხური**	**ECTS**
1.	ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	ინგლისური	ტურიზმის ბაკალავრი 1015	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	ბაკალავრიატი	240

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №845865 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლისხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ